საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

კვირა აპრილის 3
1921 წ.

№ 25
ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

მარტის 29-ს ბრძოლის ველზე მიღებულ ჭრილობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი იუნკერი

## ილიკო ივანეს ძე ჯანდიერი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ მამა ივანე ალექსანდრეს ძე ჯანდიერი, დედა თამარა გიორგის ასული ჯანდიერისა ძმები: გიორგი მეუღლით ანასტასია დავითის ასული, შვილი—ვახტანგ, ნიკოლოზ, იასონ, კოტე, დები: თინათინა, ეენო, ნინო, ლიზა და მარიამ ჯანდიერები, სიძეები: ევგენი მენშიკოვი და დიმიტრი მიხეილის ძე ჰიჰინაძე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში დაკრძალვა მოხდება კვირას აპრილის 3. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში წირვა დაიწყება 11 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. 709

ღრმად დამწუხრებული მამა მღვდელი ლავრენტი ივანეს ძე იოსავა, დედა ქრისტინე პეპუ ზუხუბაიას ასული დები: მარიამ აგრაფინა, ნინო ალექსანდრა და ძმა კოლია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას და საყვარელ

## ლოლის (ვანიჩქა) იოსავას

გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი სამხედრო ტაძრის გალავანში ძმათა სასაფლაოზე კვირას, აპრილის 3 დღის 12 საათზე. 705

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამ მოსე გაჩეჩილაძის ასული იოსავასი აუწყებს ნათესავებს ნაცნობებს და მეგობრებს რომ დაუვიწყარ და საყვარელ ქმრის

## ვანიჩქა (ივანე) იოსავას

გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი კვირას, აპრილის 3 დღის 12 საათზე სამხედრო ტაძრის გალავანში ძმათა სასაფლაოზე. 704

გულდამწვარი მშობლები ანასტასია გიორგის ასული, ნიკოლოზ დავითის ძე და და თამარი ნიკოლოზის ასული ერისთავები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს რომ პირველთა საყვარელ შვილის და მეორის ძმის

## შალვა ნიკოლოზის ძის ერისთავის

ორმოცის წირვა და პანაშვიდი იქნება კვირას, აპრილის 3-ს ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. პანაშვიდი დაიწყება წირვის შემდეგ. 702

ღრმად დამწუხრებულნი: ქვრივი ეფროსინე ლაზარეს ასული ხაჟალიასა ძმები: აპოლონ („სპირიდონიძე“—„კულაშვილი“) და ვარლამ, დები: ქეთო, ოლია, აგრაფინა, ოლიმპიადა და ვერა; სიძეები: ვალერიანე სიმონის ძე ლეჟავა, სერგო თედორეს ძე აბობაძე და შვილიშვილი ბუხუტი აბილაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველი მეუღლის, მეორენი მამის, დანარჩენი სიმამრის მათი ძვირფასი დაუვიწყარი

## სპირიდონ მიქელიძე ხაჟალიას

გარდაცვალებას. 711

გულდამწვარნი კოწია სპირიდონის ძე, მარიამ ესტატეს ასული და მათი შვილები თამარა და ქეთო მელაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ შაბათს, მარტის 26 გარდაიცვალა პირველის ძმა, მეორის მაზლი და მესამის და მეოთხის ბიძია სურამის სამასწავლებლო სემინარიის მეხუთე კლასის მოწაფე დაუვიწყარი

## დათიკო სპირიდონის ძე მელაძე

დაკრძალვა მოხდება ს. მათხოჯში (ხონის მაზ.) 7 4

გულ დამწვარნი ნინო სპირიდონის ასული და ვალიკო პეტრეს ძე დოლიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მარტის 26 გარდაიცვალა პირველის ძმა და მეორის ცოლის ძმა სურამის სამასწავლებლო სემინარიის მეხუთე კლასის მოწაფე დაუვიწყარი

## დათიკო სპირიდონის ძე მელაძე

დაკრძალვა მოხდება ს. მათხოჯში (ხონის მაზ.) 720

ღრმად დამწუხარებული ნინო ალექსანდრეს ასული ზანდუკელისა რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა რომ კვირას, აპრილის 3 იქნება გადახდილი პანაშვიდი სამხედრო ტაძარში 12 საათზე საყვარელი დაუვიწყარი ქმრის

## ნიკოლოზ ოთარის ძისა ზანდუკელის

სულის მოსახსენებლად. 716

ღრმათ დამწუხრებული მამა ესე გაბრიელის ძე და დედის ნაცვალი მართა, ძმები: არსენ, თეოფანე და ალფესი, დები ეკა და მარო, რძლები ლინა და შუშანიკ ჩახვაძეები ამით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ მეგობრებს, რომ ერთი თვის და ორი დღის ჭრილობისაგან მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მარტის 24 ახ. სტ. ა/წ. 11 საათზე ყოფილ სახალხო გვარდიის ლაზარეთში № 41 გარდაიცვალა გვარდიელი

## ივანე ესეს ძე ჩახვაძე

გასვენება მოხდება სად. ტფილისიდან ქ. ლანჩხუთში რაიც იქმნება ცალკე გამოცხადებული. 718.

ღრმად დამწუხრებულნი სიდედრი თებრო მარკოზის ასული გაჩეჩილაძისა, ცოლის დები: ნატალია, ელენე და თამარ მოსეს ასულნი გაჩეჩილაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

## ივანე (ვანიჩკა) იოსავას

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება აპრილის 3-ს დილის 12 საათზე სამხედრო ტაძარში. 717

თავზარდაცემული და გულდათუთქული მშობლები დედა მატრონა და მამინაცვალი ილარიონი, ძმები: ნიკიფორე და გიორგი, დები: ქეთევანი, თამარ და ნინო ჯაშიაშვილები, და მარიამ ვასილის ასული კემულარია აუწყებს ნათესავთ და ნაცნობებს და მის მეგობრებს, რათა მობრძანდნენ და ინახულონ უკანასკნელად გამოთხოვებისას 24 თებერვალს ომში განგმირული გმირი 1 ათასეულის ოფიცერი

## ბესარიონ (ბესო) ვასილის ძე კემულარია.

პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის 6-ზე პეტრეპავლეს ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება დღეს 3 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე იმავე ეკლესიაზე. 713

დამწუხრებული და თავზარდაცემული დეიდა ელენე და დეიდაშვილი ნიკოლოზ იოსების ძე ბეთანელი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ რათა მობრძანდნენ უკანასკნელად გამოთხოვებისას 24 თებერვალს ბრძოლის ველზე განგმირული მებრძოლი 1 ათასეულის ოფიც.-ლეიტენანტი

## ბესარიონი (ბესო) ვასილის ძე კემულარია.

დაკრძალვა მოხდება დღეს, აპრილის 3-ს ნაშუადღევის 2 საათზე. 712

ღრმად დამწუხრებულნი დედა—ანა დავითის ასული კანდელაკისა, და მარიამი, ძმები: შალვა, ავთანდილ და ბიძინა, ბიძა—გიორგი დავითის ძე ფოფხაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ დღეს, აპრილის 3-ს, შუადღის 12 საათზე წმ. იოანეს ეკლესიაში (ვერაზე) გარდახდილი იქნება ნახევარი წლის პანაშვიდი დაუვიწყარი

## დავით (ბობრა) სიმონის ძე კანდელაკის

სულის მოსახსენებლად. 719

ღრმად დამწუხრებული შვილები: ზაქარია, ივანე გიორგის ძე სულთანიშვილები, ნინა გიორგის ასული ალნიაშვილისა, რძალი ევა ალექსანდრეს ასული სულთანიშვილისა და ეკატერინე მიხეილის ასული, ძმები: დავით და მღ. ივანე მიხეილის ძე თუშმალიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1 აპრილს გარდაიცვალა მოკლე ხნის ავადმყოფობით მათი ძვირფასი და დაუვიწყარი პირველებისთვის დედა და მეორებისთვის და

## ეფემია მიხეილის ასული სულთანიშვილისა.

პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე, დაკრძალვა სამშაბათს აპრილის 5-ში წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. მისამართი: ვარდისუბნის ქ. № 17.

## ქალაქის ჟ. თვითმართველობის დარბაზში

კვირას, აპრლის 3-ს, დილის 11 საათზე
შესდგება

## დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატების („სხიველების“) და თანაგრძნობთა საზოგადო კრება

გაირჩევა შემდეგი საკითხები: ა) მოხსენება მომენტზე
ბ) გაზ. „ახალი სხივი“,
გ) საორგანიზაციო კომიტეტის არჩევა.
„ახალი სხივის“ სარედაქციო კოლეგია 692

# ფურცლები

7.

**ჯანგლიორობა და პასუხისმგებლობა.**

მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, რომ ჩვენ ტფილისის ყველა პარტიულ ორგანოების და პარტიულ საპროფესიო კავშირების წარმომადგენლების დახმარებით შეუდექით მეტად მძიმე მოვალეობის შესრულებას.

ჩვენ მეტად საპასუხისმგებლო მომენტად მიგვაჩნია ყოველდღიური ჩვენი ცხოვრება. საბჭოთა რეჟიმის კატასტროფა ჩვენ ნაგვონია სოციალიზმის კატასტროფად, შეიძლება არ დაეთანხმოთ მრავალ წვრილქანს ბოლშევიკების შემოქმედებიდან, მაგრამ მრავალი მთავარი პოლიტიკური და ეკონომიური პრინციპი ბოლშევიკების შემოქმედებისა—უეჭველად სოციალისტურია. დამარცხდება ეს დიდი დემონსტრაცია თანამედროვე უდიდესი ლაბორანტიაა—და ეს იქნება დამარცხება იმ აკვიატებულ აზრის, რომლითაც გიცხოვრია დღემდე, რომლითაც გიკვებია მთელი თაობა ჩვენი ხალხისა.

ჩვენთვის, სოციალისტ-ფედერალისათვის, განსაკუთრებით ძვირფასია ეს შემოქმედობა. მარქსისტული ორტოდოქსია კიდევ შეიძლებს რაიმე კატასტროფის დროს მოვლენას მოუძებნოს მატერიალისტური ახსნა-განმარტება, მაგრამ ჩვენი ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულება არა მარტო მატერიალიზმს აქცევს ყურადღებას, იგი სუბიექტივიზმსაც იღებს მხედველობაში და აქტუალური სოციალიზმის დროშით ვქადაგებთ: სწორედ გაგებულ და თავგანწირულ მუშაობით არსებული ცხოვრების მოგვარებას, როგორც ეს გვსურს, როგორც ეს გვინდა.

ამიტომ, ჩვენ სურვილი გვაქვს ამ მუშაობისა, ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყოველი ჩვენი სიტყვა ჩვენ მიგვაჩნია არა ლამაზ ეკვილიბრისტიკად აბსტრაქტულ მსჯელობის პროცესში, არამედ სისხლით ხორცით და გონებით შექმნილ აზრად, რომელსაც ხორცი უნდა შევასხათ შეძლების მიხედვით.

ჟანგლიორობა, სიტყვათა კორიანტელი და დემონსტრაციები ჩვენ მიგვაჩნია უდიდეს დანაშაულად თანამედროვე პირობებში და ჩვენ სრულიად არ გვესმის თვით ამ სიტყვის ხმარება გაზ. „კომუნისტში“, როცა ჩვენი პოლიტიკური ხაზიჯების და მუშაობის პოლიტიკური მნიშვნელობა ყველასთვის ცხადი უნდა იყოს.

ჩვენ ერთად ერთი გარკვეული პოლიტიკური ფიზიონომიის ხალხი ვართ, ერთად ერთი მასიური ძალა მენშევიკებს შემდეგ, რომელიც ვემცნებით უკვე შექმნილ პარტიულ აპარატს ყოველ ქალაქსა, დაბასა და სოფელში. ყველამ კარგად უნდა იცოდეს თუ რას ნიშნავს პარტიისათვის, რომელიც რამოშვილის რეჟიმის დროს აჯერხეს მიიღოს 48 ათასი ხმა, თავის გარშემო კრეს მასიური ინტელიგენციის დიდ უმრავლესობას, აი ასეთი ძალის საქმით და სიტყვით დაკავშირებას რომელსამე გარკვეულ მიმდინარეობასთან.

ჩვენ ხმაც არ გვქონდა მაღალ პოლიტიკაზე ამოღებული, როცა ყოველი ჩვენი ამხანაგი იგზავნებოდა ყოველს უწყებაში, როცა ყოველ ქართველს მოუწოდებდით და საქმითაც ვითრევდით იმ რეჟიმში სამუშაოდ, რომელიც ესლა მკვიდრდება ჩვენს სამშობლოში.

ყოველი ნაბიჯი ჩვენი მუშაობისა, ყოველი სტრიქონი ჩვენი წერილებისა მეტად დიდ მოვალეობას გვაძლევს, როგორც ჩვენი პარტიული ამხანაგებისად-

თებერვლის 24-ში ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა მტრის ტყვიით განგმირული ახალგაზრდა იუნკერი

**ოთარ გედევანის ძე ლორთქიფანიძე**

რასაც აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს გულდათუთქული მამიდა პასიკო ლორთქიფანიძისა და და მელუხან ლეჟავასი. ორმოცის წირვა და პანაშვიდი იქნება ამა თვის 3 აპრილს ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. 722

---

კვირას, აპრილის 3-ს დილის 11 საათზე დანიშნულია

# ქართულ სამუსიკო საზოგადოების კრება

პეტრე დიდის ქ. 8.

**დღიური წესრიგი:** 1. დღევანდელი მომენტი და მუსიკალური საზოგადოება
2. საზოგადოების გამგეობის მოხსენება,
3. მუსიკალური კოლეგიის მოხსენება. 8

---

# კვირას, აპრილის 3 დილის 11 საათზე

სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეთა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია ქართული დრამის თეატრის (ყოფ. არტისტიული) დარბაზში იწვევს მოსამსახურეთა

## საზოგადო კრებას

რომელზედაც მოხსენებას გააკეთებენ

ამხ. პროფ. **შალვა ნუცუბიძე** და **თედო ღლონტი**

თანამედროვე მომენტზე. დასწრება შეუძლია ყველა მსურველს. ასეთივე კრება მოხსენებებით იმართება სამშაბათს, აპრილის 5-ს ნაძალადევის მუშათა კლუბის დარბაზში საღამოს 6 საათზე.

---

მი, ის მთელი ქვეყანის და საკუთარი მდგომარეობის წინაშე. ასეთი კონგლომერობის იოტის ოდნავ დასახვა ასეთს დროს სრულიად გაუგებარია ჩვენთვის, რანაირი კვალიფიკაციაც არ უნდა გაუკეთდეს ამ მწარე სიტყვას.

რა საკვირველია, არის კიდევ სხვაგვარი პასუხისმგებლობაც, პასუხისმგებლობის განაწილებაც. ამასა ჰქვიან პოლიტიკურად განაწილება. საქართველო რეჟიმისა. დიახ, ჩვენც ძალიან კარგად ვიცით. ვიცით ისიც თუ რა განგაში იყო ამის გარეშემო ჩვენში.

ჩვენ ძალიან ბევრჯერ, სრულიად გვემუქრებოდნენ სხვა და სხვა პორტფელებზე, სხვა და სხვა დიდ საქმეებში ჩათრევაზე, ვინ იცის რა ჭორიც არ იყო ამის გარშემო და ბევრი წონასწორობასაც კარგავდა ამ ამბებით, მაგრამ ჩვენ კატეგორიულად შეგვიძლიან განვაცხადოთ: რაკი ამნაირი პოლიტიკური გზა არსებული წყობილებისა ჩვენის ხნრივ განაწილებულია, თვით ეს ფაქტი, პოლიტიკური შემეცნების თვალსაზრისით, არის თუ არა მეტი ღირებულების, მეტის მნიშვნელობის?— რასაკვირველია ჰო!

ჩვენთვის სრულიად უმნიშვნელოა ჩვენი ფიზიკური მონაწილეობა მთავრობაში. ჩვენი საქმე, ჩვენი ხმა, ჩვენი კალამი დღეს ხალხში უნდა გადავიტანოთ, დამთხვლი და თავბრუდასხმული მასსა გამოვაფხიზლოთ და ჩავრიოთ სახელმწიფო საქმის პროცესში.

მთავრობის ორგანიზაციას, მის ირგვლივ დარაზმვას უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ჩვენ ვიცით, კარგად გვესმის, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენა შემდეგია: თვით ხალხის ორგანიზაცია აუცილებელი, თვით ხალხის ხმა, ხალხის ძალთა მობილიზაცია უპირველესი ამ ჟამად.

ჩვენც სწორედ ეს მიგვაჩნია უმთავრეს საქმედ, უპირველეს მოვალეობად და ჩვენი ფიზიკური მონაწილეობა მთავრობასთან ჩვენ შევცვალეთ ხალხთან ფიზიკურ მონაწილეობით.

ასეთია ამ ჟამად ჩვენი გადაწყვეტილება. რასაკვირველია ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ თუ აუცილებლობის ფაქტად და მეტად საჭირო მოვალეობაც იქნება მთავრობაშიაც მონაწილეობა, პრინციპიალურად ესეც დასაშვებია რასაკვირველია ამ მონაწილეობის უფრო დეტალური გეგმის მიხედვით. ხოლო დღეს კი, ჩვენის აზრით, ასეთი მომენტი და საჭიროება არ არის დამდგარი.

ვგონებ, ყველაფერი გარკვეულია.

თედო ღლონტი.

---

# რა სთქვა შეერთებულმა კრებამ

ორიოდე დღის თათბირის შემდეგ შეერთებულმა კრებამ, რომელსაც დაესწრო ორმოცამდე დელეგაცია გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც გამოქვეყნდა პრესაში. რა სთქვა ამ რეზოლიუციით შეერთებულმა კრებამ?

ჩვენს პარტიას დღიდან თავის არსებობისა ორი პრინციპი ჰქონდა: ერის უფლებების დაცვა და მშრომელთა განთავისუფლება. პირველ მიზნის მისაღწევად მას საჭიროდ მიაჩნდა ერის სრული თვით გამორკვევა, მისი დამოუკიდებელ ნების ყოფის სინამდვილეში უკლებლივი გატარება. ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით ერისთვით არსებობის განმტკიცებას მხოლოდ ამ ნიადაგზე საკითხის დასმასთავის ცალკე უფალ ერების თავისუფალ ოჯახში შესვლის შესახებ. შესცვალა ეს გზა კრების რეზოლიუციამ? ოდნავათაც არა, როგორც წინედ ისე მომავალშიაც კრებამ მოუწოდა თავის ამხანაგებს და ქართველ მშრომელი დარაჯად დაუდგენ თავის დამოუკიდებლობას და „უკლებლივ და შეურყევლად" დაიცვან იგი.

მეორე მიზნის მისაღწევად ჩვენ დიდი ხანია გათვალისწინებული გვქონდა სოციალიზაციის გზა. წინეთ ჩვენ სოციალიზაციის პრინციპს ვაყენებდით მხოლოდ სოფლის მეურნეობის ნიადაგზე, უკანასკნელ ხანაში კი, აი თუნდაც დამფუძნებელ კრებაში (ჩვენი დეკლარაცია) და ქალაქის თვითმართველობაში ჩვენ თანდათანობით წამოვაყენეთ პრინციპი სოციალიზაციის გაფართოებისა და მოვითხოვდით სახელმწიფოებრივ და ფართო საზოგადოებრივ ხასიათის მქონე ეკონომიურ ფენომენების სოციალიზაციას და ნაციონალიზაციას (სამთო მრეწველობის, თამბაქოს წარმოების, საზოგადოდ ვაჭრობის და კერძო სახლებისაც კი). შესცვალა თათბირმა ჩვენი სოციალ-ეკონომიური პოლიტიკა? ოდნავადაც არ შეუცვლია. მან დაადგინა, რომ შემოქმედებითი (აქტუალი) სოციალიზმის გეგმები სავსებით იქმნან ცხოვრებაში გატარებული.

რა სთქვა არსებითად ახალი შეერთებულმა კრებამ?

1) შრომის პრინციპი პოლიტიკურ უფლებების განსაზღვრა. ვინც არაფერს აკეთებს, მას არ აქვს უფლება სახელმწიფოს აღმშენებლობაში მიიღოს მონაწილეობა. დაირღვა ამით უმრავლესობის ბატონობის პრინციპი? სრულიადაც არა, ვინაიდან საქართველოში არის სწორედ მმართველთა უმრავლესობა და მშრომელთა კანონმდებლობით ორგანო სწორედ ერის უმრავლესობის ნებისყოფის გამომხატველი იქნება.

2) კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობა გარკვეულის პირობებით. რა არის აქ ახალი? ის, რომ წინედ პარტია თანამშრომლობას კისრულობდა და მთავრობაშიაც შედიოდა მენშევიკებთან უპირობოდ და მენშევიკების ხელში სხვის საქმეს აკეთებდა. დღეს ეს გზა კატეგორიულად უარყოფილია.

შეერთებული კრების დადგენილება ნათელია: ჩვენი ნაცადი პარტიული დროშა არავის წინ არ დაიხრება (როგორც ეს სამწუხაროდ იყო წინედ) და თუ ჩვენს პარტიულ მუშაობას წინ გადაეღობება ვინმე ცხადია, თანამშრომლობა ბრძოლით შეიცვლება.

შ. ნუცუბიძე.

---

# ტფილისი და ერევანი

დღეს თუ ხვალ აჯანყებულ ერევნის ბედი გადაწყდება. ეჭვველია, კვლავ აღდგენილ იქნება საბჭოთა ძალა უფლება. ამ მომენტის მოახლოვება მოსვენებას არ აძლევს ტფილისში მოკალათებულ სომხურ შოვინისტურ ელემენტებს ასეთები კი ძალიან ბევრია ტფილისში. დღემდი ისინი ვითომ თავს აფარებდენ დემოკრატიულ საქართველოს ხან დაშნაკელებისაგან, ხან ბოლშევიკებისაგან. ეს იყო საბაბი. მიზანი კი მათი სულ სხვა იყო...

დღეს კი, როდესაც ტფილისშიაც და ერევანშიაც ერთი და იგივე რეჟიმი მყარდება, რაღა ქნას ამ ხალხმა, რომელმაც უკვე მოასწრო განთლება და არც მენშევიკობა, არც დაშნაკელობა მათ არ უშველის?

ისევ ყველას სჯობია კომუნისტობა; მაგრამ თუ კომუნისტი ხარ, ამხანაგო, წადი შენ საკუთარ სამშობლოში, დაეხმარე შენ საკუთარ სამშობლოში, დაეხმარე შენ ლვიძლ ძმებს, სომხის გლეხებს და მუშებს, მოაწყობიე მათ ცხოვრება ახალ საფუძვლებზედ. აქეთ მოგიწოდებს შენი კომუნისტური სამშობლო ხომ კარგად იცი: იქ შენ აუცილებელი ხარ, აქ კი იხედაც მეტია ძალა ვისთან გაქვთ თქვენ მეტი კავშირი: ტფილისთან თუ ერევანთან? რასაკვირველია ერევანთან, მაშ გასწით იქ, მიაშურეთ ერევანს!

ცხადია, ასეთი შინაგანი იმპულსი ღვივის ყოველ პატიოსან და გულწრფელ სომეხ კომუნისტში, ვისაც სწამს ხალხის მომავალი და მოწადინებულია დაეხმაროს მრავალ გზით განაწამებს სომხის მშრომელ ხალხს. სომხის ყველა კულტურული ძალები უნდა გაეშურნენ სომხეთს და იქ გაჩაღონ დაუღალავი მუშაობა. ეს ასედაც მოხდება, რა თქმა უნდა, ჩვენ ერთ წუთსაც ეჭვი არ გვეპარება, რომ გულწრფელ სოციალისტებს ამ შემთხვევაში არავისგან მოგონება არ დასჭირდებათ. საკუთარი მოწოდება და მოვალეობის შეგნება მათ იქ მიიყვანს, სადაც უფრო საჭირონი არიან. ამათთვის არ იწერება ეს სტრიქონები.

ეს საკითხი ჩვენში არც კი დაიბადებოდა, რომ ვინმე მ. მოკინსიანს არ წამოეყენებია გაზეთ „კარმირ ასტღ"-ის მარტის 30-ის ნომერში. (იხ. მისი წერილი: „რა უნდა ვაკეთოთ ტფილისში," მოყვანილია ჩვენი გაზეთის № 27-ში.) პატივცემული ავტორი აღნიშნავს, რომ ტფილისში სომხების განკარგულებაშია თეატრების შენობები, სტამბები, სკოლები, ინვენტარი, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სხვა. ტფილისშია მრავლად სომხის პედაგოგები, ლიტერატორები, არტისტები, ხელოვნები, მემუსიკენი და სხვა. დასასრულ ტფილისში სცხოვრობენ წარმომადგენლები თავისუფალ პროფესიებისა და სპეციალისტებისაო" და დასკვნის: „ტფილისი უნდა დაეხმაროს ერევანს. არ უნდა გაგვიტაცოს იმ აზრმა, საჭიროა სომეხ კომუნისტების გაგზავნა ერევანში. პირიქით, უნდა ვეცადოთ საქართველოში დავტოვოთ" რომ სომხეთისათვის მოსამზადოთ ყველა ის კულტურული საშუალებანი, რის მოცემაც შეუძლია ტფილისის სომხებსო.

ახირებული დასკვნაა. დახმარების წინააღმდეგნი არას დროს ვყოფილვართ. ეხლაც ინებეთ მთელი თქვენი თავისუფალი ძალები და საშუალებანი, თუ კი საკუთარი არ გყოფნით. მაგრამ ჯერ გამოიყენეთ საკუთარი.

გარდა ამისა, ვინ ვერ ბედავს, რომ ავტორის მიერ ჩამოთვლილი სომხური კულტურული ძალები ტფილისში იმდენად მოჭარბებულია ეროვნულ-კულტურულ საჭიროებასთან შედარებით, რომ მათი საქმიანობა უნებურად სცილდება ბუნებრივ ფარგლებს, იჭრება სხვა სფეროში და ლებულობს აშკარა ნაციონალისტურ ტენდენციას? ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს და ხელოვნურად მისი გაძლიერება არავისთვის სასარგებლო არაა.

ყველა ეროვნულ უმცირესობათა უფლებები საქართველოში დღეს მაინც უზრუნველყოფილია თვით საბჭოთა სისტემით. და კვლავ აგიტაცია ეროვნული ფრონტის გასამართლებლად რით უნდა აიხსნას, თუ არ უნდობლობით ამ სისტემისადმი?..

მოქალაქე მოკინსიანს უკისრია გამონახოს ახალი საბუთები ტფილისში დარჩენის გასამართლებლად სომხის იმ ელემენტებს, რომლებსაც ერევნის განთავისუფლება მოუსპობს საბაბს აქ ოხოვრებისა და ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს.

მაგრამ ასეთი საბუთი არ არსებობს. იმისი თქმა კი, რომ სომხის ყველა კულტურული ძალები ტფილისში უნდა დარჩენ და აქ მოამზადონ სომხეთისათვის კულტურული საშუალებანიო, ე. ი. ტფილისი უნდა ვაქციოთ სომხეთის ეროვნულ კულტურულ ცენტრადო,— აბსურდია. ტფილისი საქართველოს კულტურული ცენტრია და სომხეთს ასეთად არ გამოადგება...

ეროვნულ-კულტურული ცენტრის სხვა სახელმწიფოში შექმნის სურვილი აუცილებლად სულ სხვა მიზნებითაა ნაკარნახევი და არა კომუნიზმით. ეს იარლიკი არავის გამოადგება ამ საქმისათვის...

დიახ, ტფილისი უნდა დაეხმაროს ერევანს, უნდა გაანთავისუფლოს და უკანვე დაუბრუნოს იქაური ძალები. და თუ საჭიროება მოითხოვს აქაური მკვიდრი ძალებიც მიაშველოს. დროებით მაინც. ამას მოითხოვს სომხის მშრომელი ხალხის ინტერესები, ამას მოითხოვს საქმის მდგომარეობა.

რა თქმა უნდა საქართველოში უნდა დარჩეს საკმაო ძალები, რომ აქაური მკვიდრი სომხობა აზიაროს ეროვნულ კულტურას, რომლის კერა ჩვენ სომხეთის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია.

თ.

---

# ინტელეგენცია და გარდამავალი ხანა

ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთის დიდ რევოლიუციაში რუსეთის ინტელიგენციას დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის. ეგრედ წოდებული რუსეთის იდეური ინტელიგენცია უკვე საუკუნე ნახევარია რაც იბრძვის მუშა-ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის. გამოჩენილი რადიშჩევიდან დაწყებული დღემდის თავგანწირულად იბრძვის ის და მოუწოდებს ყველას გაჰკაფოს ეკლიანი გზა ბედნიერ ქვეყნისაკენ. რა ძალა და ენერგია უნდა იყოს საჭირო, რომ უზარმაზარ რუსეთში, თითქმის სანახევროდ ველურ ქვეყანაში საუკუნე ნახევარი ფანატიკურად იბრძოდეს ინტელიგენცია მუშა-ხალხის საკეთილდღეოთ? ჭეშმარიტად, დიდი ძალა და ენერგია იყო და არის საჭირო და ეს ამოდენა დაულეველი ძალა და ენერგია თითქმის რაღაც ზღაპრულ მოვლენას წარმოადგენს. ზღაპრულია ეს მოვლენა სხვათა შორის იმით, რომ ხალხისთვის მებრძოლ ინტელიგენციას წარმოადგენს რუსეთში მხოლოდ უმცირესი ნაწილი მთელი ინტელიგენციის. შესძლებს თუ არა ეს მებრძოლი იდეური ინტელიგენცია, რომელსაც უხდება მუშაობა ერთობ ძნელ პირობებში, გაუძლოს დღევანდელ გარდამავალ ხანას და არ დაადგეს განადგურების გზას?

ჩვენის აზრით ამ დიდათ მძიმე უღელს გადიტანს რუსეთის მებრძოლი ინტელიგენცია და, აი, რატომ. თუგინდ ეს მებრძოლი ინტელიგენცია შეადგენს მცირე ნაწილს მთელი რუსეთის ინტელიგენციისა, მაგრამ ეს მცირე ნაწილიც წარმოადგენს რუსეთში დიდათ თვალსაჩინო ძალას არა მარტო თავისი ბრძოლით და იდეური მოქმედებით, არამედ რიცხვითაც-კი. საკმარისია თვალი გადაავლოთ რუსეთის ერობის ლიტერატურას და დარწმუნდებით, რომ რუსეთს აურაცხელი ეგრედ წოდებული ხალხური ინტელიგენცია ჰყავს. არა ერთი და ასი მაგალითი იყო რუსეთში, რომ სადღაც მიყრუებულ სოფელში ერობის დაბალი სკოლის მასწავლებლად გენახათ უმაღლეს სწავლა დამთავრებული ყმაწვილი კაცი და არა მარტო რუსეთში დემთავრებიას სწავლა, არამედ საზღვარ გარედაც-კი. ეს ამისთანა ხალხური ინტელიგენცია რუსეთს ბევრი ჰყავდა და ჰყავს და გასაკვირალი არ იქნება, რომ ამისთანა დიდი ინტელიგ. კონტიგენტის ძალა მთლად არ განადგურდეს დღევანდელ გარდამავალი ბრძოლის ხანაში და ის მუშა ხალხი, რომლის „ტვინს" თვით ეს მებრძოლი ინტელიგენცია წარმოადგენს, არ დარჩეს უინტელიგენციოთ.

ჩვენი, ქართველი ინტელიგენციის მდგომარეობა კი სულ სხვანაირი არის. ჩვენ ხალხური, მებრძოლი და იდეური ინტელიგენცია სულ ცოტა გვყავს, თითქმის თითებზე შეიძლება მათი ჩამოთვლა. რასაკვირველია, თუ პროცენტით ვიანგარიშებთ, ჩვენ შედარებით ჩვენისთანა პატარა ერებთან ცოტა ინტელიგენცია გვყავს, მაგრამ დღეს, რადგან მთელი მსოფლიოს ისტორიის დიდი გარდამავალი ხანაა, ეს ჩვენი დიდი ინტელიგენცია დღევანდელი მოძრაობის მასშტაბში ერთობ პაწია ჯგუფს წარმოადგენს.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ დღეს დიდ ბრძოლაში ვართ ჩაბმული და ეს დიდი ბრძოლა დიადი გარდამავალი ხანასი გვავალებს ჩვენ არ დავქსაქსოთ ჩვენი იდეური, მებრძოლი ინტელიგენციის ძალა, ურომლისოდ ჩვენი ხალხი ცხვრის ფარას დაემსგავსება. ძალიან ადვილად შესაძლებელია, რომ დღევანდელ ძძიმე პირობებში ჩვენი ერთი მუჭა ინტელიგენცია მთლად გაითქვიფოს დიდი მასშტაბის მოძრაობაში, რაც სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენებს თვით ერის კითხვასაც-კი.

დღევანდელ მძიმე პირობებში ეს კითხვა წარმოადგენს დიდათ ჩასაფიქრებელ კითხვას, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. როგორც მუშა-ხალხს დღევანდელ პირობებში დიდი და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, აგრედვე ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელ ინტელიგენციას, ურომლისოდ არავითარი აღმშენებლობითი მოქმედება არ შეიძლება. თუ მშრომელი ინტელიგენცია ფიზიკურად დასუსტდა და განადგურების გზაზე დადგა, ამით მოესპობა ჩვენს ხალხს ყოველნაირი ნაყოფიერი მუშაობა და თვით ერის კითხვაც-კი ჩავარდება სახიფათო მდგომარეობაში.

მაშასადამე, ის დიდი მასშტაბი, რომლითაც შეიძლება მოქმედობა უზარმაზარ რუსეთში, შეუძლებელია ჩვენში, რადგან დიდი რუსეთის მასშტაბით მუშაობა პაწია საქართველოში სრულიად გათქვეფს და ყოველნაირ პირის სახეს დაუკარგავს ჩვენს ერთ მუჭა მშრომელ ინტელიგენციას.

სიფრთხილით მოვეპყროთ ჩვენს ერთ მუჭა ინტელიგ. ძალას თვით ჩვენი ხალხის ინტერესების დასაცავად. ინტელიგენცია წარმოადგენს „ხალხის ტვინს" და თუ ტვინია საჭირო, ეს სწორედ დღეს, როდესაც მივესწრაფვით ბედნიერ ქვეყნისაკენ.

გ. მ—ძე.

---

# სომხეთში

მარტის 21-ს ოპერატიული ცნობა.

მარტის 30 ჩვენმა ნაწილებმა დაიპირეს ალიკოჩაკი და განაგრძეს რა მოწინააღმდეგის დევნა, მარტის 31-ს დაიპირეს სოფ. ყარაკლისი, რომელიც აშაბარანის სამხრეთით 55 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც ერევანზე უტევენ, მარტის 31-ს 5 საათზე დაიჭირეს სოფ. ბაბკეში სოფ. ალიკოჩაკთან ბრძოლაში ჩვენ მოწინააღმდეგეს წავართვით ვიკერსის სისტემის 2 ტყვიის მფრქვეველი.

---

# ჩვენ და ოსები.

ოსეთი და ოსები ერთ მწვავე საკითხად გადაიქცა ჩვენი ხალხისათვის. ნაციონალისტური მოტივებით გატყუნებულმა ოსების ნაწილებმა მეტად ცუდად გაიგეს საქართველოს უკანასკნელი ამბები. ჩვენ არ შეგვიძლია აქ აღვწეროთ ის საშინელება, რომელსაც ცხინვალ-ჯავის მიმართულებით ქონდა ადგილი. დეე ეს იყოს უკანასკნელი ფურცელი ოსეთ-ქართველების მწარე ისტორიისა.

ბოლო უნდა მოეღოს ამ შურის და ძმათა შორის სისხლის ღვრას. ჩვენ ვიცით ოსეთის უპასუხისმგებლო ძალების წინააღმდეგ საქართველოს რევკომმა ზომები მიიღო, მაგრამ როგორც სჩანს ჰუმანიური პოლიტიკას მეტად ფუჭად, ლებოთ ეკიდება ზოგიერთი ავანტიურისტი და დღესაც განაგრძობენ დასაგმობ შავ საქმეებს.

ოსებსა და ქართველებს შორის საბოლოო მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია თვით ოსებისა და ქართველ მუშების საქმეში ჩარევა. ამ მიზნით ჩვენი პარტია გზავნის ჯავის რაიონში თავის რწმუნებულებს, რათა ოსეთიდან ტფილისში ჩამოყვანილ იქნეს ოსების და ქართველების შეგნებული ძალები, ამათგან უნდა მიღებულ იქნას მდგომარეობის დაწვრილებითი შესასწავლათ სრული ცნობები, ხოლო ტფილისში გაიმართოს ოსი და ქართველი მუშების ფართო საგანგებო კრება, სადაც მთელი რიგ ღონისძიებასთან ერთად გადადგმული იქნება პრაქტიკული ნაბიჯები მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად.

ჟუნარი.

# შტატი

ჩვენი საზოგადოება, სრულიად სამართლიანად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შტატის საკითხს. ჩვენს რედაქციას ამ საკითხის გარშემო უხდება ბევრთან საუბარი, ბევრი კამათი და მსჯელობა.

როგორ უყურებთ ჩვენ ამ საკითხს, რა პოლიტიკა უდევს სარჩულად ამ საკითხს?

ამ ჟამად საბჭოთა საქართველოში დიდი საორგანიზაციო მუშაობაა, ძნელი, მეტად საპასუხისმგებლოა ეს ხანა. ჩვენში ხდება სრული რეორგანიზაცია სოციალ-ეკონომიური წყობილებისა. ამ სტრუქტურის პრინციპიალ და პრაქტიკულ მხარეებზე, თვით საორგანიზაციო იომენკლატურის შესახებ ჩვენ ახლო მომავალში გვექნება ლაპარაკი, როცა სპეციალური წერილები დაიბეჭდება საქართველოს ეკონომიურ საკითხების და საეკონომიო პრინციპებზე.

ამ რთულს საამშენებლო მუშაობაში ჩვენ გვსურს შევიტანოთ ჩვენი წვლილიც, ამ მოკლე ხანში თითქმის ერთი ნომერი არ გამოვცეცია „სოციალისტ-ფედერალისტი“-სა, სადაც საქართველოს რევკომის ყურადღება არ მიგვექცია ესოდენ წოდებულ უწყებების ნაციონალიზაციაზე.

ჩვენი საზოგადოება მწვავედ განიცდის ამ საკითხს, ათასგვარი ხან გადაბერებული, ხან კი სამართლიანი ჩივილი გვესმის, ხოლო საერთოდ ჩვენ ასე უყურებთ ამ საკითხს.

ჩვენი მთავარი დებულება ისევ ცნობილი დებულებაა—აუცილებლად საჭიროა უწყებების ნაციონალიზაცია ნაციონალურ სახელმწიფოს მიხედვით, მაგრამ—რასაკვირველია—ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ბოიკოტი გამოუცხადოთ უცხოელებს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ტომით უცხო ეოს ეკუთვნის. ჩვენ ვაცხადებთ: უცხოელების გამოყენება, როგორც ბლოდხეების, სპეციის—საჭიროა, სასურველია, სასარგებლოა აუცილებელია.

ჩვენ კარგად ვიცით, სრული ნაციონალიზაცია მეზხევეიკებმაც ვერ შესძლეს ყოველს უწყებაში, მართველობის სათავეში სოციალისტ-ფედერალისტებიც რომ ვიყოთ, აუცილებლად გამოვიყენებდით სპეციალისტებს (სპეცებს), მაგრამ საქართველოში დაწესებულებებს უნდა ქონდეთ ქართული სახე, ქართული ხასიათი. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ სპეცების ყოფნა სრულიადაც ვერ დაუკარგავს დაწესებულებას ეროვნულ სახეს. ამ ჟამად კი ჩვენ ვხედავთ აქა-იქ მთავარი ნაციონალური პრინციპის დავიწყების და სპეცების სახით სრულიად გადაგვარების ტენდენციას.

ჩვენს ყურადღებას მიაქცევს ჯერჯერობით ეზნადოროგის უწყების, საგარეო ვაჭრობის დარგს. სადაც უმეტესობა არა ქართველი ელემენტია არის საქმეში ჩათრეული. ჩვენ ჯერ-ჯერობით ზედმიწევნით არა ვართ გაცნობილი ამ უწყებასთან, ხოლო გვაქვს მთელი შტატის სრული სია, ამათში არიან ისეთი არა ქართველი ელემენტი, რომელნიც საქმისათვის მართლა გამოსადეგი და სასურველია, მაგრამ დიდი უმრავლესობა სრულიად უბრალო მოხელეებია, რომელთა საკითხის სპეცების თვალსაზრისით გადაჭრა ყოვლად შეუძლებელია.

სპეცების საკითხშიაც ჩვენ სახელმძღვანელო აზრად უნდა მივიღოთ შემდეგი: სპეცები გვჭირიან, მაგრამ როცა ქართველი სპეცები გვყავს, საქმისათვის გაცილებით სასარგებლო ქართველი სპეცებია, როგორც უფრო მცოდნე საქართველოს ცხოვრების სპეციფიურ პირობებისა და ამიტომ უცხო სპეცი უნდა მივიღოთ მაშინ, როცა საკუთარი არა გვყავს, ან როცა უცხო სპეცი სჯობიან ჩვენს სპეცს.

ჩვენ თვით დეტალურ არ ვუყენებთ ბრალდებას ნაციონალურ ტენდენციისას, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ მის ნაბიჯებში აზერბეიჯანის გავლენა მოსჩანს და ყველამ კი უნდა იცოდეს: საქართველო თავის კულტურული ძალებით სრულიად განსხვავდება მთელს წინა აზიაში მოსახლე ყველა ერებისაგან.

საჭიროა მეტი დაახლოვება ადგილობრივ ძალებთან, მეტი ცნობა ჩვენი ინტელიგენციისა, მეტი ნდობა და კავშირი იმ მასიურ და არა მასიურ ინტელიგენციასთან, რომელიც ხანგრძლივი შრომით აღზარდა საქართველოს მშრომელმა ხალხმა და რაიცა გაწრთვნა ჩვენმა კულტურამ.

მებრძოლი.

# მოსწავლე ახალგაზრდათა მდგომარეობა.

რუსეთის რევოლიუციიდან ნასროლმა ტალღამ ძირიანად შესცვალა, როგორც სახელმწიფოს ცხოვრება, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდათა მდგომარეობა. გარდამავალ ხანში იმყოფება სხვასთან ერთად მოწაფეობა და მომენტი მოითხოვს მისგან თავის საკუთარ მდგომარეობაზე დაფიქრებას. საერთო მდგომარეობა ისეთია, რომ ყველამ თვითონ უნდა იზრუნოს საკუთარ საქმეზე და მოაგვაროს იგი ისე, როგორც ეს ხელს შეუწყობს მის წინსვლას. ამიტომ მოწაფეობას დღეს სჭირდება მუშაობა ერთი ორად ვიდრე წინათ. მან უნდა ისარგებლოს მომენტით, რომელიც პირდება ფართო პერსპექტივების განხორციელებას ახლო მომავალში. თუ კი დაგვიანებას ადგილი არ ექნება და ჩვენც საკმაო მომზადება აღმოგვაჩნდება მომენტის შეგნებისა.

დღეს დიდ ყურადღებას იწვევს ტფილისის მოსწავლეთა კონფერენცია უნდა შევნიშნოთ რომ, იშვიათად ქონია ასეთი მნიშვნელობა მ—თა კონფერენციას როგორც დღეს. ტფილისის მოსწავლეებმა შესძლო საერთო მუშაობის დაწყება, თუმცა უმრავლესობა მათი შემადგენლობისა არა ნორმალურ მდგომარეობის გამო გაფანტული იყო და ტფილისის მოშორებული. მოწაფე ახალგაზრდობა დღეს ეძლევა ფართო უფლებები და ამ კონფერენიას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს მათ ცხოვრებაში ხოლო ამისათვის საჭიროა ბეჯითი შრომა. კონფერენცია უნდა შექმნას ისეთი რეგულიატორი (ორგანო), რომელიც ხელმძღვანელი იქნება მოწაფეთა კულტურული ცხოვრებისა და აგრეთვე უზრუნველ ყოფს ჩვენ მდგომარეობას მატერიალურად ზედმეტი იქნება ჩამოვთვალოთ კონფერენციის მნიშვნელობა მხოლოთ ვიტყვით, რომ კონფერენცია შესდგა და ეს კი არის ფაქტი იმისა, რომ მოწაფეებმა შეიგნეს მნიშვნელობა მომენტისა და, რასაკვირველია, თავის საკუთარი სდგომარეობისაც, და დღეს საინტერესოა რამდენად შეგნებულად შევხვდებით ჩვენ მას, და რამდენად გამართლდება ჩვენი იმედები.

**P. S.**

(„ონა-ს“ წერილის გამო)

უნდა აღვნიშნოთ სამწუხაროთ, რომ თუმცა დიდ იმედებს ვამყარებთ ამ კონფერენციაზე, მაგრამ საუბედუროთ, ჯერჯერობით როგორც ეტყობა, იმდენი არაფერი კეთდება, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყოს ერთ სულოვან მუშაობის მაგივრათ იქ თავს იჩენენ გამთიშველი ელემენტები. რომელთა არსებობა ასეთ მნიშვნელოვან დღეს სრულიათ არ არის სასურველი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს არის დროებით, მაგრამ მაინც რას ნიშნავს ისეთი გამოსვლები და სხდომისათვის ისეთი ხასიათის მიცემა, რომელსაც ადგილი ქონდა ერთი ჯგუფის მიერ, ან კიდევ „ონა“-ს მთელი წერილი, (ს.-ფ. № 24). ყოველივე ამას რაღაც ყმაწვილური ხასიათი აქვს, პირად უკმაყოფილობაზე აგებული. ბ. „ონა“-ს წერილი, ნაკლებ ეხება კონფერენციის მუშაობას, არამედ პირად გამოსვლებს უფრო ეხება, მაგრამ საერთო აღლო ისეთია, რომ ეტყობა კონფერენციაც ამ გამოსვლებს უფრო აქცევს ყურადღებას ვიდრე საერთო მუშაობას.

ასეთი მდგომარეობა უთუოთ არ არის დამაკმაყოფილებელი. საჭიროა სერიოზული მუშაობა დაიწყოს, ჩვენ იმედი გვაქვს რომ კონფერენციის წევრთა უმრავლესობა თუ მართლა მასში ისეთი სამწუხარო გაუგებრობა და უაქტივობა არ არის, როგორც ეს „ონას“ წერილიდან სჩანს შესძლებს დაჩრდილოს ასეთი გამოსვლები და თავის მუშაობით და სიმტკიცით პირში ბურთ ჩასჩრან ვინც ხელს უშლის საერთო შრომას.

გახსოვდეთ კონფერენციის წევრებს, რომ პასუხის მგებელი ხართ ახალგაზრდობის და ერის წინაშე.

ი.—ი.

# მწუხრნი პარასკევისა

I

პირზე ღიმილი შეჰრჩათ იმ გმირებს,
სამშობლოსათვის რომ დაწვნენ ველად
და გაზაფხული უკოცნის პირებს
იმათ საფლავებს უკანასკნელად.
ის იმედები, მათ რომა ზარდეს,
ნიავად დარჩა უდაბურ ქვეყნად,
რომ ხელს უსვამდეს თავს მწვანე ბარდებს
და ჰკვნესდეს, სადაც მათ უნდა ეხსნათ...
მე რო ყვავილი ვყოფილიყავი,
იმათ საფლავზე გავიშლებოდი
და დავკმევდი: არ მოჰხდა ზავი
და ყველას მათებრ გულს აწევს ლოდი.

II

გაზაფხულის მზე დედამიწის მკერდს
დააწვდა კოცნად, დააწვდა გზნებად
და ამოზიდა შიგ დამარხულთა
გმირთა სულები ვარდ-ყვავილებად.
თხა ბუჩქზე ადის ნეკერთა კორტნად,
აღიდებული მდინარე ზღავის
და ყველაფერი ამდგარა ძებნად
ახალ სიცოცხლის, ახალ ვარსკვლავის.
იმათ კი... სძინავთ უსიზმრო ძილით,
სძინავთ ჩუმათ და განუზომელად—
სძინავს იმათთან ჩემ ხვთაებასაც
და გაზაფხული მაქვს გლოვად, ბნელად...

III

ამ გაზაფხულზე მე იმგვარად ვარ,
ვით მღვრიე წყალში, სამშობლოვ, დედავ!
პირი თევზივით სავსე მაქვს წყლითა
და თვალებითაც ველარას ვხედავ.
თუ ამაზე კარგს აღარას ველი,
თუ უკეთესი არ უნდა ხწამდეს,
არა სჯობია: ამ ქვეყანაზე
არა მე მიწას, მიწა მე მჭამდეს?!..

IV

ოჰ იმედებო, რათ მეჩვენებით
სულ ნაირ-ნაირ ღმერთ-ვარსკვლავებად
და ისევ მალე რისთვისა ჰქრებით?
ნეტა ჩემ ბნელ ცას ხანგრძლივად ებათ!
დასწყევლოს ღმერთმა ჩემი ბუნება!
უიმედობა ვერა მკლავს, ვერა:
უიმედო ვარ, მაგრამა მაინც
რაღაცას ველი, რაღაცა მჯერა!..

ა. მჭედლიშვილი.

1921 გაზაფხული.

# ბრძანება

№ 22.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა.

1. ამა 1921 წლის თებერვლის 27 თარიღით და მე 3 №-რით გამოცემულ ბრძანების შეცვლისა და შევსებისათვის ცხადდება საყოველთაოდ სახელმძღვანელოდ და აუცილებელ აღსასრულებლად, რომ აზერბეიჯანისა და სომხეთის საბჭოთა ფულის ნიშნები სავალდებულოთ მისაღებად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ბონების თანაბრად.

2. აზერბეიჯანის და სომხეთის ფულის ნიშნები, გამოშვებული ამა რესპუბლიკების არა საბჭოთა მთავრობების მიერ, მისაღებად სავალდებულო არ არის.

3. ყველა, ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, დასჯილი იქნება რევოლიუციონური დროის კანონების თანახმად.

საქართველოს ს. ს. რ, რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე. რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე. 1921 წ. მარტის 30 კ. ტფილისი სასახლე.

# სოც.-ფედერ. პარტიაში

ს. ფ. ფარმაცევტთა კრება. დღეს 3 აპრილს დილის 11 საათზე პარტიულ კლუბში (ლორის მელიქოვის ქ. № 2) ქალთა ორგანიზაციის ბინაზე მოხდება თბილისის ს. ფედერალისტ ფარმაცევტთა საზოგადო კრება რომელზედაც გაირჩევა გადაუდებელი საკითხები. ამხანაგებს ვსთხოვთ უეჭველად დაესწრონ და ნურც დაიგვიანებენ.

# ახალი ამბები

— **პური ჩრდილო კავკასიიდან.** რადგანაც საქართველოს მცხოვრებნი არ შეიძლება უზრუნველ ყოფილი იქმნან იმ პურის მარაგით, რომელიც არის რესპუბლიკის საზღვრებში, სახალხო სასურსათო კომისარიატი შეუდგა პურის დამზადებას ჩრდილო კავკასიაში ამ დამზადებას ხელს უშლის ტრანსპორტის ცუდი მდგომარეობა, ამიტომ საჭიროა პურის გამოზიდვა საქართველოში რკინის გზით. ამ გარემოებას სახალხო სასურსათო კომისარიატი იძულებულ ყო დაესვა საკითხი ჩრდილო კავკასიიდან ხბრბლების სამხედრო გზით გამოტანის შესახებ. სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ გადასწყვიტა მოაწყოს ალნიშნული გამოზიდვა.

— **შეშა ტფილისისათვის.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა აღძრა საკითხი ყოველ თვიურად 15 ვაგონის მიცემის შესახებ, 300 საჟენ შეშის გამოსატანათ 346 ვერსის ჩიხიდან. ეს შეშა საჭიროა ფურნეების და საავადმყოფოების სათბობი მასალით უზრუნველ საყოფათ.

— **საქონლის გაცვლა-გამოცვლა** ახალციხის მაზრაში საქონლის ფონდის დაარსების მიზნით სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ გადასწყვიტა გაგზავნოს ახალციხეში 5 ვაგონი ნავთი და 1 ვაგონი მარილი. დადგენილია აგრეთვე სადგურ გომისა და კასპის რაიონში საჩქაროთ გაიგზავნოს საგრძნობი რაოდენობა სხვა და სხვა საქონსაქონლისა.

— **ხელოვნება თეატრი „სატირ-აგიტი“.** გრუჯავროსტას გამგემ ამხ. ბოგდატიევმა გასცა ბრძანება რაც შეიძლება ჩქარა გაიხსნას თეატრი „სატირ-აგიტი“. ამის გამო გრუჯავროსტას სათეატრო განყოფილებამ მიიღო ზომები თეატრის შეკეთების და სამხატვრო მორთულობის დაჩქარებით მოსაწყობათ იმ შემთხვევაში თუ უახლოეს დღეებში ვერ დაასრულებენ თეატრის შეკეთებას, დროებით თეატრი „სატირ-აგიტი“ გაიხსნება სხვა შენობაში. „სატირ-აგიტის“ პირველი პროგრამა უკვე მზათ არის დაიდგება მხოლოდ რევოლიუციონურ სატირის პიესების რეპერტუარი, ვ. ბრიანსკის და ი. ვერსკის რეჟისორობით. დასადგმელათ განზრახულია; „ჰიმნი ბელადებს“ „პეტერა მილიტის“ და სხვა „სატირ-აგიტის“ ქართული სექცია შეუდგა რეპეტიციებს. განზრახულია დასადგმელათ „კერპი“ და სხვა რევოლიუციონურ შინაარსის პიესები. ქართული პიესების დადგმა იწამ.მოეეებს გუნიას, ჰიაურელის და წუწუნავას უახლოეს მონაწილეობით და ხელმძღვანელობით.

— **კონსერვატორიაში.** ტფილის სახელმწიფო კონსერვატორიის სამხატვრო საბჭოში. შედის მთელი რიგი წინადადებათა. მოსკოვის, როსტოვის, ხარკოვის და სხვა ქალაქების სერიოზულ მუსიკოსებისაგან. რუსეთის მუსიკალური ძალები გამოსთქვამენ კონსერვატორიის შემადგენლობაში შესვლის, სურვილს. ეს საკითხი განხილულ იქმნება კონსერვატორიის სამხატვრო საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

სახალხო მუსიკალურ საზოგადოების გამგეობამ კონსერვატორიას მიართვა საჩუქრათ ნოტების ბიბლიოთეკა. ამასთანავე საზოგადოება [illegible] წიფო კონსერვატორიას [illegible] ფული მომავალ სახალხო კონსერვატორიის ფონდის დასაარსებლათ.

**ქართველ ხელოვანთა კრება.** კვირას დილის 11 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება ქართველ ხელოვანთა საერთო კრება.

— **მოწაფეთა წარმოდგენები.** ქართული კლუბის თეატრში შესდგება ნ. შევლევის საოპერო კლასის და სტუდიის მოწაფეთა წარმოდგენათა მთელი რიგი განზრახულია დასადგმელათ. „ევგენი ონეგინი“, „დემონი“, „ფაუსტი, „რიგოლეტო“, „პიკის ქალი“ და სხვ. რეპეტიციები უკვე დაიწყო. სამოსწავლო სეზონის გათავების შემდეგ განზრახულია გამგზავრება გასტროლებზე ქუთაისში. ბათუმში, ფოთში და ბაქოში.

— **ხალხისათვის კონცერტ-მიტინგები** გრუჯავროსტას სათეატრო განყოფილებამ გადასწყვიტა უახლოეს დღეებში მოიწვიოს თათბირი ყველა დაწესებულების წარმომადგენელთა, რომელნიც მმართავენ—კონცერტ მიტინგებს. სათეატრო განყოფილებას განზრახული აქვს ფართო გეგმით კონცერტ-მიტინგების სისტემატიურათ მოწყობა.

— **ხიდების შეკეთება.** მტკვრის გადიდების გამო ავჭალის ხიდი ჩაზნექა აპრილის 1-დან ხიდის შეკეთებამდე მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილ იქმნა.

— **აბრეშუმის მოყვანისთვის.** მეაბრეშუმეობის ინსპექტორი შეუდგა წინასწარ მუშაობას მომავალ საბრეშუმო კამპანიისთვის: დამზადებულია და შეძენილი საზღვარ გარეთ 300 ათასი მისხალი ბაღდადის და ევროპის ჯიშის აბრეშუმის თესლი, ტფილისის და ქუთაისის საბრეშუმო სადგურები მიღებულ თესლს უკვე სინჯავენ. ამასთან ერთად მიღებულია ღონის ძიებანი, რათა რაც შეიძლება მეტი თესლი დამზადდეს ადგილობრივ მომავალ კამპანიისთვის. თესლის მომზადებელთ დიდ დახმარებას აღმოუჩენენ როგორც მასალებით, აგრეთვე ფულის ნიშნებით.

— **ქართველ ხელოვანთა კრება** დღეს, კვირას, აპრილის 3-ს შუადღის 11 საათზე ქართველ ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. № 13 დანიშნულია ყველა ხელოვანთა პოეტთა მსახიობთა, მუსიკოსთა და მხატვართა) კრება. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ფრიად საყურადღებო საკითხები, და. წრება ყველა ხელოვანს შეუძლიან დასაწყისი სრულ 11 საათზე.

— **კოტე ყიფიანის ავადმყოფობა.** დამსახურებული მსახიობი კოტე დიმიტრის-ძე ყიფიანი მძიმედ არის ავად.

— **რკინის გზებზე.** ნავთი საქართველოსთვის, ანგორისა და სომხეთისათვის. მარტის 31-ს ბაქოდან ნავთლუღში მოვიდა 26 ქვაბი ნავთი საქართველოსთვის და 9 ქვაბი ანგორისთვის. იმავე დღეს მოვიდა 46 ქვაბი ნავთი სომხეთის რკ. გზებისათვის.

— **მოსამსახურეთა უკანონოთ დათხოვნის შესახებ.** საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მახარაძის და საქართველოს რკ. გზ. სახალხო კომისარის კაციტაძის ხელმოწერით საქართველოს რკ. გზ. მთელ ხაზზე რაიონის რევკომებს რომელიც რკინის გზასთან მდგომარეობა და უფროსებს დაეგზავნათ შემდეგი დეპეშა: საქართველოს რევკომს მოსდის ცნობები, რომ ზოგიერთი პასუხის მგებელი პირნი და რევკომების წევრები ატუსაღებენ და ადგილიდან ითხოვენ რკ. გზ. მოსამსახურებს წინადადებას გაძლევთ შემდეგში აღარ განმეორდეს ასეთი მოქმედება და დატუსაღება უნდა მოხდეს დ. ტ. ჩ. კ საშუალებით ყველა გადაყენებული აღადგინოთ თავის თანამდებობაში, ხოლო დატუსაღებულნი საბუთებთან ერთად გაგზავნეთ საქ. რკ. გზ. კომისარს ამხ. ნ. კაციტაძეს.

— **მუხეინოვის ჩამოსვლა.** აპრილის 1-ს ღამით ბათომიდან ჩამოვიდა აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ჰუსეინოვი.

— **დახეულ ფულის მიღება სავალდებულოა.** საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რევკომის 28 მარტს დადგენილების თანახმად, დახეული ქართული ბონების მიღება სავალდებულოა ყველასთვის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

— ბოსტნები. ქალაქის რევკომმა — ქალაქის სასურსათო კომიტეტს გადასცა 100 დესეტინა მიწა ბოსტნების გასაკეთებლად.

— თევზის და ღორის ხორცის დამზადება. ქალაქის რევკომში შუამდგომლობს საქართველოს რევკომის წინაშე მიეცეს საშუალება ქალაქის რევკომს დაამზადოს თევზი აზერბეიჯანში და ხორცი (განსაკუთრებით ღორის ხორცი) ქუთაისის გუბერნიაში ქალაქ ტფილისის საჭიროებისათვის.

საგარეო ვაჭრობა. ჩეხია-სლოვაკიის ცენტრალური ეკონომიურ კომისიის პრაგელმა წარმომადგენელმა მოქალაქე კუნმა გარეშე ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მისცა საქონლის გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე მიაწოდოს სოფლის მეურნეობის იარაღები, მანქანები, მანუფაქტურა, ქაღალდი, სამკაულის საქონელი და სხვა. ამასთან დასძინა, რომ აღნიშნული საქონელი შეიძლება ერთ თვეში აქ იქმნას შემოტანილი. გარეშე ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ გადაწყვიტა კუნის განცხადება გადაეცეს განსახილველად ექსპორტ-იმპორტის განყოფილებას.

— პროვინციებში მყოფ ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ. როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში მეცადინეობა უკვე დაიწყო; საჭიროა ყველა ქართველი სტუდენტების პროვინციებიდან ჩამოსვლა.

— ჯარის კაცი ისიდორე ცუცქირიძე. მსახურობდა ქიათურის გვარდიის ათასეულის მე 3-ე გუნდში, იყო კოჯრის ფრონტზე. 23 თებერვალს ავადმყოფი ტფილისში გამოუგზავნიათ საავადმყოფოში დასაწოლად, მაგრამ არც ერთ საავადმყოფოში არ აღმოჩნდა. თუ ვინმემ იცის რამე ხსენებული ჯარის კაცის შესახებ მზრუნველი ოხოვენ აცნობონ დიდი მთავრის ქ. № 75 ცუცქირიძეს.

## დეკრეტი № 10

რკინის გზის შენობები.

1. რკინის გზის ყოველი შენობა, რომელიც რკ. გზის ფარგლებშია შეიძლება დაეთმოს რომელიმე უწყების მხოლოდ გზათა სამართველოს თანხმობით.

ყველა შენობა რკ. გზის ფარგლებს გარეშე, შეიძლება გამოიყენოს ადგილობრივმა ისპოლკომმა საერთო გამოყოფილების საერთო წესის მიხედვით იმ აუცილებელის პირობით, რომ ეს შენობები ეკუთვნის რკინის გზის სამართველოს.

2. რომელიმე უწყების და ორგანიზაციის მიერ დღემდე დაკავებული ყველა საოკუპაციო დაწესებულება, რომელნიც რკინის გზის ფარგლებშია, უნდა გამოთავისუფლდეს ამ დეკრეტის გამოცემიდან ერთი თვის განმავლობაში და დაუბრუნდეს გზებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირველ მუხლში აღნიშნულ წესისა. გზის მმართველობა დასთანხმდება რკინის გზის შენობების დატოვებაზე იმ ორგანიზაციის ან უწყების განკარგულებაში, რომელსაც იგი უკავია.

3. საოჯახო მოქმედების რაიონში სახელმწიფო ნაწილები და დაწესებულებები, შეიძლება მოთავსებულ იქმნან რკინის გზის შენობებში რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშათა გამოუსახლებლად, მხოლოდ შეუძლოების საშუალებით ისიც რკინის გზის მმართველობასთან შეთანხმებით.

4. გამოსახლება რკინის გზის მოსამსახურეებისა და მუშებისა, რომელთაც უკავიათ შენობები რკინის გზის ფარგლების გარედ, ხდება რევკომის სპეციალური დადგენილებით რკინის გზის მმართველობასთან შეთანხმებით, რკინის-გზელების წინასწარი (ერთი კვირით) გაფრთხილებით და აუცილებელი ვალდებულების დაკისრებით მათთვის სამაგიერო ბინების მიჩენისა იმ დაწესებულების რაიონში სადაც იგი მსახურებს.

რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე
რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

## რადიო

სამთო წარმოება მთიელთა რესპუბლიკაში.

თერგის ოლქში სამადნეული ადგილების მთელი რიგია დასამუშავებლად გამოსაყენებელი. პირველი ადგილი ეკუთვნის საცემენტო ქვას კავკავის და ნალჩიკის არემარეში. მთიელთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქვანახშირის სამადნო ადგილები, რომელიც სრულიად საკმარისია სამეურნეო და საწარმოვო საჭიროებისათვის. სოფელ ჯიმართან აღმოჩენილია გრაფიტის მადანი რამდენიმე მილიონი ფუთი; არის აგრეთვე აზბესტი.

რუსეთი და შვეცია.

ქრისტიანია, გარეშე საქმეთა მინისტრმა შვეციის პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა:

რუსეთის საკითხი არის ყველაზე მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხებში. სავაჭრო ხელშეკრულება სრულებითაც არ წარმოადგენს აუცილებლობას, სავაჭრო საქმეების საწარმოებლად. კერძოდ, ამ ჟამად უკვე სწარმოებს მოლაპარაკება, რათა აღდგენილ იქმნას სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან. ამ გვარად მომავალში შესაძლებელია დაიდგას სავაჭრო ხელშეკრულება.

რკინის გზელთა დაჯილდოვება.

მოსკოვი. შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, რკინის გზებზე შემოღებულია ნატურით დაჯილდოვება. დაჯილდოების ფონდისათვის გაცემულია: 40 მილიონი არშინი მანუფაქტურა, 130 ათასი ფუთი მარილი და 10 მილიონი კოლოფი ასანთი. მიღებულია ცნობები რკინის გზებზე მანუფაქტურის დარიგების შესახებ.

ინგლისის პრესა საბჭოთა ხელისუფლების შესახებ.

ლონდონი. ინგლისის პრესა იტყობინება, რომ ყველა ცნობები რუსეთში კონტრ-რევოლუციის შესახებ, რომელთაც ავრცელებს საბჭოთა ხელისუფლების მტრები, ტყუილია. გაზეთი „დეილი ნიუზი" სწერს: „რუსეთში კონტრ-რევოლუცია შეუძლებელია, რადგანაც ლენინის და ტროცკის მთავრობის მაგიერობას ვერავინ გასწევს, ვინაიდან მხოლოდ ამ ორ ადამიანს შეუძლია დღეს მართოს რუსეთი.

კოლექტიური ბოსტნები.

პეტროგრადში ყველა პროფკავშირების ეძლევა მიწის ნაკვეთები საბოსტნეთ. ეს ნაკვეთები კოლექტიურად იქნება დამუშავებული.

ორი ქალების რეზოლუცია.

ოლხოვკაში შესდგა ორი ქალების კრება, რომელზედაც შემოიტანეს რეზოლუცია შემდეგი: კომპარტიის წყალობით ჩვენ, ოსებს, რომელნიც აქამდის დამონებულნი ვიყავით, შესაძლებლობა მოგვეცა გამოვიდეთ სინათლეზე. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

კომუნისტური შაბათობა.

მოსკოვი. 24 მარტი. კომუნისტური შაბათობების მუშაობაში თებერვალში მონაწილეობა მიიღო 97,866 სულმა, მათ რიცხვში პარტიული ამხანაგის 25,498, ხოლო უპარტიო 72,368.

მუშაობის შედეგი: დაიტვირთა 533 ვაგონი, გადმოიტვირთა 1,517 ვაგონი შეკეთდა 93 ორთქლმავალი და 107 ვაგონი. ამას გარდა გადაზიდულ იქმნა ტვირთის დიდი რაოდენობა—საშეშე ფიცრები, დაიხერხა, დაიპო და დაწყობილი იქმნა სახსი საჟენი შეშა თვალისაგან გაწმენდილ იქმნა 33 ათასი კვადრატიული გზა და სხვა.

ამერიკა და რუსეთი.

მოსკოვი, 24 მარტი. ლონდონში ჩამოსულ ამერიკის წარმომადგენელ ვანდერლიდი შემდეგი გარემოებით ხსნის თავის მეორედ ჩამოსვლას.

—მე ხელახლად გადავწყვიტე მოვსულიყავი რუსეთში იმის გამო, რომ ადგილობრივ გამოვარკვიო ის საკითხები რომელნიც ამერიკას აინტერესებს რადგანაც, რომ ინგლისი, გერმანია და შვეცია ვაჭრობენ რუსეთთან, ჰყიდიან რუსეთზე საქონელს და სამაგიეროდ ოქროს იღებენ, მაშინ როდესაც ამერიკელები განზე არიან დარჩენილნი. ინგლისი ფარისევლურად ეუბნება ამერიკელებს: ნუ იღებთ მოლაპარაკების ოქროს, ის სისხლშია გასვრილი რადგან თითონ ინგლისი კი ამ ოქროს დიდი სურვილის იღებს. ამერიკას შეუძლიან რუსეთს უფრო ბევრი მისცეს, ვიდრე ინგლისი აძლევს. ამერიკის სასიცოცხლო ინტერესები იმას მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე დაიჭიროს რუსეთთან ეკონომიური კავშირი. ამერიკის საქმეში ჩახედულ წრეებში არ მოიპოვება არც ერთი ადამიანი, რომელიც არ გრძნობდეს რუსეთთან დაახლოვების დიდ მნიშვნელობას. არ ესმით ეს მხოლოდ ვილსონს და მის დამქაშებს.

მაგრამ ამერიკაში, ვილსონის წასვლის გამო იწყება ახალი ხანა და ბოლოს რუსეთთან განახლება დამოკიდებულებანი, რასაც ამერიკული საქმის ხალხი ელოდება. რუსეთი, რასაკვირველია, უფრო მალე შეთანხმდება ამერიკელებთან, ვიდრე ინგლისელებთან.

## ბაქო

აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მებამბეობის წახალისება.

რათა გადიდებულ იქმნას ბამბის დათესვა სახალხო მიწადმოქმედების კომისარიატმა შეიმუშავა საავანსო სისტემა: ყოველ დათესილ დესეტინაზე მიეცემათ: თესლი იამბისა, 8 არშ. ამერიკა, 2 ფუთი ნავთი, 10 კოლოფი ასანთი, 5 გირ. მარილი.

მუშათა ფაკულტეტი თურქულ ენაზე ბაქოში.

სახალხო განათლების კომისარიატის საქადემიო განყოფილების მიერ უნივერსიტეტთან არსდება მუშათა ფაკულტეტი თურქულ ენაზე, რომლის მიზანია თურქულ ახალგაზრდობის მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების მოსასმენად.

გლაუბერის მარილის მიღება

აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის საბჭომ დაამზადა 700,000 ფ. გლაუბერის მარილი, გადაწყვეტილია კრასნოვოდსკის ახლოს გაიხსნას სოდის ქარხანა.

ნავთის გადასაზიდი ფლოტი ნავსადგურის დაწყების წინ.

ეხლა ნავთის გადასაზიდი ფლოტის 96 გემიდან ნავოსნობისათვის მზად არის, დარჩენილი გემების შეკეთება დამთავრდება აპრილში. გემების პირველ ჯგუფს ერთ გზათ შეუძლიანთ გაიტანონ 3 მილიონი ნავთის პროდუქტები.

ნავთი ოსმალეთისათვის.

ბაქოდან ა. ს. ს. რ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჰუსეინოვმა ყარსში ქიაზიმ-ყარაბექირ ფაშას დეპეშით შეატყობინა, რომ საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლების დამყარების შემდეგ ა. ს. ს. რ. მთავრობას შეუძლიან საქმით დაამტკიცოს თავისი სიმპატია ოსმალეთის ხალხისადმი და აღმოუჩინოს მას არსებითი დახმარება. ბაქოდან გაგზავნილია ყარსში პირველი ნავთის მარშრუტი 30 ცისტერნი გაუწმენდავი ნავთით და 4 ცისტერნი ბენზინით, ამ მარშრუტს ტფილისში მიუბამენ 8 ცისტერნს გაწმენდილ ნავთს.

ჰიდროელექტრონული სადგური

მდინარე სამურზე აპირებენ აქვთ დასდგან ჰიდროელექტრო სადგური ბაქოს და სამრეწველო რაიონების საჭიროებისათვის.

ბაქო, სპარსეთის ნავთის მრეწველობის თომარებებისთვის ნავთის გასატანად დაარსდა სპარსეთის საგანგებო სავაჭრო ბიურო.

აღმოსავლეთის ხალხთა საბჭო.

ბაქო, 15 აპრილს ბაქოში შესდგება პლენარული სხდომა აღმოსავლეთის ხალხთა მოქმედების და პროპაგანდის საბჭოს წევრებისა. დაესწრებიან საბჭოს წევრები — ავღანისტანის, ოსმალეთის, სპარსეთის, ინდოეთის, ბუხარის, ხივის, ჩინეთის, თურქესტანის, აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, დაღესტანის, ყირგიზეთის, სათათრეთის, ბაშკირეთის, რესპუბლიკათა წარმომადგენლები.

სიმინდის შაქარი.

მოსკოვი, 31 მარტი. ბაქოში მოხდა ნაყოფიერი ცდა სიმინდიდან კრისტალიურ შაქრის მიღებისა, შემდეგში აზრად აქვთ საქარხნო მასშტაბით აწარმოონ სიმინდის შაქრის გამოხდა.

## ფთხილად

საქართველოს მებრძოლი ხალხის წინაშე დასმულია დღეს მრავალი ისეთი საკითხი, რომელთა გადაჭრა მოითხოვს დიდ სიდინჯეს.

მის შეგნებაზეა დამოკიდებული შეუძლიან თუ არა ერთხელ კიდევ იამაყოს ისტორიის წინაშე თავისი შორსმჭვრეტელობით, გამჭრიახობით მტკიცე ნებით.

საჩქარო და საშური არის საკითხი მიზან შეწონილ მოქმედებისა, რომელიც დღევანდელ პირობებთან არის დაკავშირებული. ბურუსით გარშემორტყმული მშრომელი ხალხი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა, გონებას ვერ მოსულა.

საკითხი, როგორ მოვიქცეთ, რა ვაკეთოთ, აიძულებს ყოველ შეგნებულ პარტიულ ამხანაგს ფაქტის შეხაფერისი შეფასებით შეხაფერისი ნაბიჯის გადადგმას. პირდაპირ, გაბედულად, მთელი თავისი შეგნებით გასძახოს ქართველ მშრომელთ—დრო არ იცდის!

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტ პარტიულ მუშაკს დღეს დიდი, თავგანწირული და შეგნებული ნაბიჯის გადადგმა სჭირია, რომელზედაც დამოკიდებულია, როგორც პარტიის ბედი, აგრეთვე მშრომელთა ხალხის ბედიც. საქართველოს მშრომელთა ხალხი ფაქტის წინაშე სდგას და ის გზა, რომელიც მას ეკვლება ამოირჩიოს უნდა შეფარდებულ იყოს, როგორც ერის წარსულთან აგრეთვე პარტიის ღირსეულ ტრადიციასთან.

დღეს პარტიის წინაშე ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხია გადასაჭრელი. —საკითხი პარტიის მომავალ ტაქტიკის და მოქმედების შესახებ.

ვინ უნდა გადასჭრას ეს საკითხი; რასაკვირველია ერთად ერთი პასუხი, რომელიც შეიძლება მიეცეს—მხოლოდ პარტიულ კონფერენციამ. მაგრამ, სანამ კონფერენცია თავის სიტყვას იტყოდეს ჩვენ პარტიულ მუშაკებს არ შეგვიძლიან გვერდით ჩაუაროთ შექმნილ მდგომარეობას და ანგარიში არ გაუწიოთ იმას, რაც ხდება გარეშემო.

ჩვენი მოვალეობაა ავამოძრაოთ მთელი ჩვენი პარტიული აპარატი, შევამზადოთ კონფერენციისათვის. და იქ ერთხელ და სამუდამოთ ვთქვათ ის, რაც საჭიროთ მიგვაჩნია საქართველოს მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ. დღეს კი ჩვენ უნდა დავირაზმოთ შეერთებულ კრებაზე ამორჩეულ ცენ. მთავარ კომიტეტის გარშემო და ვაწარმოოთ ფართო ხასიათის მუშაობა.

დღეს ბოლო უნდა მოეღოს ორჭოფობას, ძერყობის. ქართველი ინტელიგენციის მოვალეობაა ერთხელ კიდევ სთქვას თავისი სიტყვა და ეს სიტყვა უნდა იყოს გამომხატველი ქართველი მშრომელი ხალხისა.

ქართველი ინტელიგენცია გამოსულია მშრომელთა წრიდგან და იმის მოვალეობაა გადასდგას სრული შეგნებით ღირსეული ნაბიჯი, მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის.

ნუ დავივიწყებთ ნურავის, რომ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ინტელიგენცია მშრომელ ხალხის ღირსეული შვილია და მის თავდადებულ ბრძოლას ასხივოსნებდა ყოველთვის გულწრფელი რწმენა და უანგარო თავდადება.

ქართველ ინტელიგენციას ბევრი მსხვერპლი გაუღია საქართველოს მშრომელთა საკეთილდღეოთ, ის არ შეჩერდება კიდევ გაიღოს მსხვერპლი მშრომელთა ხალხის უფლებების დასაცავად.

დღეს ყოველი პარტიული მუშაკი, რა დარგშიც, რომელ დაწესებულებაშიც კი არ უნდა უხდებოდეს მას მუშაობა, ერთი აზრით უნდა იყოს გამსჭვალული— ეს აზრია, რომ ის ემსახურება საქართველოს მშრომელ ხალხს და მის საკეთილდღეოთ მოიკრიბოს მთელი ენერგია და მთელი თავისი შეგნებით რაინდობით ემსახუროს მას.

ქართველი ხალხის მომავალი საბედისწეროა შეიძლება გახდეს და ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობა მოეთხოვება მხოლოდ მას. ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოისპოს ის უსამართლობა, რომელიც ასეთი უსინდისო ხრიკებით და ლათაიებით მსოფლიო კაპიტალისტების ლაქია დიპლომატების ყვალობით თავს დაატყდა ქართველ მშრომელ ხალხს.

დღეს საქართველოს მშრომელი ხალხი ჩვენ პარტიის სიტყვას ელის და ჩვენი მოვალეობაა მას უთხრათ ის, რასაც ჩვენი პარტიული სინიდისი — გვკარნახებს. საქართ. სოციალისტ - ფედერალისტთა პარტიულ დროშას, ყოველთვის ეწერა სოციალიზმი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ამ დროშას, თავისი წარწერით, ძირს დაშვება არა სჩვევია, და თუ დღეს ქართველი ხალხი ა. ხ. ს. ფირცხალავას დახასიათებით—ორთის ბზის რტოსავით და ორთოლავს ვერცხლის წყალივით.. ჩვენი მოვალეობაა გავიდეთ მშრომელ ხალხში, შევამდოთ შავი ძალით დათიღხული კერა, მოვწმინდოთ ტანჯვისაგან დაღარული შუბლი გავუმხნევოთ და ვუთხრათ:

საქართველოს მხსნელო!
მომავალი ისტორიამ დღეს შენ ჩაგაბარა.

ფრთხილად სადარაჯოზე!

გ. გამრეკელი.

## საუბარი ავღანისტანის მთავრობის წარმომადგენელთან

ავღანისტანის მისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ანგორაში მიმავალმა, მაგომეტ-კული-ხანმა, გრუზროსტას თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა მისსის დანიშნულებაზე შემდეგი: ჩვენმა მთავრობამ გადასწყვიტა დაიჭიროს უშუალო კავშირი ოსმალეთის მთავრობასთან, რისთვისაც შედგენილ იქმნა განსაკუთრებული დიპლომატიური მისსია. ეს მისსია შესდგა ტაშკენტში და შემდეგ თურქესტანის რესპუბლიკის ხელისუფლების მეგობრულ დახმარებით ჩამოვიდა რკინის გზის კრასნოვოდსკში და შემდეგ ბაქოში, ბაქომდის მისია გააცილა თურქესტანის რესპუბლის წარმომადგენელმა, ბაქოში კი სადაც მისსია დიდის პატივისცემით იქმნა მიღებული, მასთან მივლინებული იქმნა აზერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელი.

საქართველოდან მისსია პირველ აპრილს მიემგზავრება ბათომით თავის დანიშნულების ადგილას, ანგორაში.

რაც შეეხება ავღანისტანის მდგომარეობას, მაგომეტ კული-ხანის სიტყვით, კაბულში და საზოგადოდ მთელ მხარეში სრული ერთობა არსებობს და მთელი ხალხი მთავრობასთან ერთად მიისწრაფვის ავღანისტანის დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ და აღმოსავლეთის ყველა ხალხების გაერთიანებისაკენ. ის მთავრობანი სხვა სახელმწიფოებისა, რომელთაც სურთ და დაინტერესებულნი არიან აღმოსავლეთის აყვავებაში ყოველთვის იყვნენ და იქნებიან კიდეც მუდმივი მეგობარი ავღანისტანის ხალხისა. ავღანისტანის მთავრობა მზათ არის იყოს მეგობრულ ურთიერთობაში ამ მთავრობებთან.

გამოდის რა ამ მდგომარეობიდან, ავღანისტანის მთავრობას ყოველთვის აქვს განუწყვეტელი კავშირი რუსეთთან, ბუხარასთან, ოსმალეთთან და სპარსეთთან. ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლები იმყოფებიან ავღანისტანში მის სატახტო ქალაქ კაბულში.

რაც შეეხება ავღანისტანის და ინგლისის შორის დამოკიდებულებას, ამას წინად კაბულში მოვიდა ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი ავღანისტანისა და ინგლისის შორის დამოკიდებულების საკითხის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად. მოლაპარაკება გრძელდება, მხოლოდ შედეგი ჯერ არ ვიცით.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაჰმედ კულიხანი აძლევს რუსეთ ავღანისტანის შორის ურთიერთობის განმტკიცებას. რომელსაც ახასიათებს როგორც მჭიდრო დამოკიდებულებას მისი სიტყვით აუცილებელია დამყარდეს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა რუსეთსა და ავღანისტანს შორის, რომელიც დღემდის, სამწუხ-როთ, ვერ მოწყობილა. თავის საუბრის ბოლოში მაჰმედ კულიხანმა გამოსთქვა რწმენა, რომ მჭიდრო კავშირი ავღანისტანსა და ოსმალეთ შორის უფრო განმტკიცდება, რადგანაც ამ ორ მუსულმანურ სახელმწიფოთა შორის არსებობს სრული ერთობა.

## ჩვენი ფოსტა.

ინჟინერ ამხ. ვ. კაკაბაძეს ვთხოვთ შემოვიდეს რედაქციაში.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი ცენ. მთავარი კომი. ეტისა.

დაიკარგა უვადო პასპორტი მოცემული ბაქოს გრადონაჩალნიკის მიერ 1912 წ. № 5017 ალექსანდრე ვიორგის ძე ქემაშვილის სახელზე რომელიც ჩაითვლება გაუქმებულად.